

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები  
არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ

("პეკინის წესები")

გენერალური ასამბლეა, ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების საერთაშორისო პაქტს, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტს, აგრეთვე ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც ახალგაზრდათა უფლებებს ეხება, ითვალისწინებს რა აგრეთვე, რომ 1985 წელი გამოცხადებულია ახალგაზრდობის საერთაშორისო წლად: მონაწილეობა, განვითარება, მშვიდობა და რომ საერთაშორისო საზოგადოება მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობის უფლებათა განხორციელების დაცვასა და მხარდაჭერას, რაზედაც მოწმობს ის მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება ბავშვის უფლებათა დეკლარაციას ეყრდნობა რა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეექვსე კონგრესის მიერ მიღებულ მეოთხე რეზოლუციას დამნაშავეობის აცილებისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ, რომელშიც მოცემულია მოწოდება, შემუშავებულ იქნას არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციისა და მათ მიმართ მზრუნველობის გამოჩენის მინიმალური სტანდარტული წესები, რაც შესაძლოა მიჩნეულ იქნას სამოდელოდ წევრ-სახელმწიფოებისათვის, ეყრდნობა რა, აგრეთვე ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1984 წლის 25 მაისის #1984/153 გადაწყვეტილებას, რომლის შესაბამისადაც წესების პროექტი 1984 წლის 14-18 მაისს პეკინში გამართულ რეგიონთაშორის მოსამზადებელ თათბირზე განხილვის შედეგად წარედგინა 1985 წლის 26 აგვისტო - 6 სექტემბერს მილანში, იტალია, მიმდინარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეექვსე კონგრესს დამნაშავეობის აცილებისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ, აღიარებს რა, რომ ახალგაზრდობა, იმყოფება რა პიროვნული განვითარების ადრეულ ეტაპზე, საჭიროებს განსაკუთრებულ ზრუნვასა და დახმარებას ფიზიკური, სულიერი და სოციალური განვითარების სფეროში, ასევე სამართლებრივ დაცვას მშვიდობის, თავისუფლების, ღირსებისა და უსაფრთხოების პირობებში. მიიჩნევს რა, რომ არსებული ეროვნული კანონმდებლობა, პოლიტიკა და პრაქტიკა, შესაძლოა, საჭიროებდნენ გადასინჯვასა და შეცვლას წინამდებარე წესებში მოცემული ნორმების გათვალისწინებით,

ასევე მიიჩნევს რა, რომ შესაძლოა, ამგვარი ნორმები, შესაძლებელია, ისახებოდეს დღესდღეობით ძნელად განსახორციელებლად, არსებული სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სამართლებრივი პირობების გათვალისწინებით, ისინი, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია რეალიზებულ იქნან პროგრამული მინიმუმის სახით, 1. მაღლიერებით აღნიშნავს დამნაშავეობის აცილებისა და მასთან ბრძოლის კომიტეტის, გენერალური მდივნის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამნაშავეობის აცილებისა და დამნაშავეებთან მოპყრობის აზიური და შორეული

აღმოსავლეთის ინსტიტუტებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ინსტიტუტების მიერ გაწეულ მუშაობას არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესების მომზადებაში;

2. მაღლიერებით მხედველობაში იღებს გენერალური მდივნის მოხსენებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არასრულწლოვანთა მიმართ სამართლის ადმინისტრაციის წარმოების შესახებ პროექტის შესახებ;
3. იწონებს რეგიონათშორისი მოსამზადებელი პეკინის თათბირის შედეგებს, რომელშიც დასრულებულ იქნა წესების ტექსტის შემუშავება განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის;
4. ამტკიცებს მეშვიდე კონგრესის მიერ მიერ რეკომენდირებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არასრულწლოვანთა სამართლის ადმინისტრაციის მინიმალურ სტანდარტულ წესებს და წინამდებარე რეზოლუციის დანართში მოცემულ წესებს, და იწონებს მეშვიდე კონგრესის რეკომენდაციას, რათა ეს წესები იწოდებოდეს "პეკინის წესებად";
5. სთავაზობს წევრ-სახელმწიფოებს აუცილებლობის შემთხვევაში მოიყვანოს პეკინის წესებთან შესაბამისობაში შიდაეროვნული კანონმდებლობა, პოლიტიკა და პრაქტიკა, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მიმართ სამართალწარმოების გამტარებელი პერსონალის მომზადების სფეროში, და მიიღოს ზომები, რათა გააცნოს წესები შესაბამის ორგანოებსა და ფართო საზოგადოებას;
6. მოუწოდებს დამნაშავეობის აცილებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის კომიტეტს დანაშაულობასთან ბრძოლისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინსტიტუტების ხელშეწყობით შეიმუშავოს ზომები პეკინის წესების ეფექტური განხორციელებისათვის.
7. სთავაზობს წევრ-სახელმწიფოებს აცნობონ გენერალურ მდივანს პეკინის წესების განხორციელების შესახებ და რეგულარულად მიაწოდონ მოხსენებები დამნაშავეობის აცილებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის კომიტეტს მიღწეული შედეგების შესახებ.
8. სთხოვს წევრ-სახელმწიფოებსა და გენერალურ მდივანს ჩაატაროს გამოკვლევები და შეიმუშავოს მონაცემთა ბაზა არასრულწლოვანთა მიმართ სამართლის ადმინისტრაციის წარმოების ეფექტური პოლიტიკისა და პრაქტიკის გატარების შესახებ;
9. სთხოვს გენერალურ მდივანს და სთავაზობს წევრ-სახელმწიფოებს უზრუნველყონ პეკინის წესების ტექსტის რაც შეიძლება ფართო გავრცელება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა ოფიციალურ ენაზე, არასრულწლოვანთა მიმართ სამართალწარმოების სფეროში ინფორაციული საქმიანობის აქტივიზაციის ჩათვლით;
10. სთხოვს გენერალურ მდივანს შეიმუშავოს ექსპერიმენტული პროექტები პეკინის წესების განხორციელების მიზნით;
11. სთხოვს გენერალურ მდივანსა და წევრ-სახელმწიფოებს მიაწოდონ აუცილებელი საშუალებები პეკინის წესების წარმატებული განხორციელებისათვის, კერძოდ, კადრების მიღებისა და მომზადების, თანამშრომლებით გაცვლის, გამოკვლევების ჩატარებისა და შეფასებების, აგრეთვე გამასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებისათვის ახალი ალტერნატიული ზომების შემუშავების საკითხებში;

12. სთხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამნაშავეობასთან ბრძოლისა და სამართალდამრღვევებთან ურთიერთობის მერვე კონგრესს ჩაატაროს წინამდებარე რეზოლიციაში მოცემული პეკინის წესებისა და რეკომენდაციების განხორციელებისას მიღწერული შედეგების მიმოხილვა არასრულწლოვანთა მიმართ სამართლის ადმინისტრაციის წარმოებას მიძღვნილ დღის წესრიგის ცალკეული პუნქტის ფარგლებში.

13. დაჟინებით მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის შესაბამის ორგანოებს, კერძოდ რეგიონალურ კომისიებსა და სპეციალიზირებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამნაშავეობასთან ბრძოლისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის ინსტიტუტებს, სხვა მთავრობათაშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებს ითანამშრომლონ სამდივნოსთან და მიიღონ აუცილებელი შეთანხმებული და მუდმივი ზომები, თავისი სპეციალური კომპეტენციის ფარგლებში, პეკინის წესებში მოცემული პრინციპების განხორციელების მიზნით.

### **დანართი**

#### *არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის გაერო-ს სტანდარტული მინიმალური წესები ("პეკინის წესები")*

პირველი ნაწილი. საერთო პრინციპები

#### 1. ძირითადი მიზნები

1.1. მონაწილე სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ, თავისი ზოგადი ინტერესების შესაბამისად, ხელი შეუწყონ არასრულწლოვანთა და მათ ოჯახთა კეთილდღეობას.

1.2. წევრი-სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ ისეთი პირობების შექმნისაკენ, რომლებიც საშუალებას მისცემენ უზრუნველყონ მოზარდთა შინაარსიანი ცხოვრება საზოგადოებაში, რომელიც, მოზარდის სიცოცხლის იმ პერიოდში, როდესაც ის ყველაზე მეტად არის მიდრეკილი არასწორი საქციელისაკენ, ხელს შეუწყობს პიროვნების განვითარებისა და განათლების მიღების პროცესს, მაქსიმალურად თავისუფალს დამნაშავეობისა და სამართალდარღვევის ჩადენის შესაძლებლობისაგან.

1.3. საკმარისი ყურადღება უნდა მიექცეს პოზიტიური ზომების განხორციელებას, რომელნიც ითვალისწინებს ყველა შესაძლებელი რესურსების მობილიზაციას, ოჯახის, მოხალისეების და საზოგადოების სხვა ჯგუფების, აგრეთვე სკოლების და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩართვას, კანონის მხრიდან ჩარევის აუცილებლობის შემცირებისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდისადმი ეფექტური, სამართლიანი და ჰუმანური დამოკიდებულების მიზნით.

1.4. არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულება უნდა გახდეს ყოველი ქვეყნის ეროვნული განვითარების პროცესის შემადგენელი ნაწილი თითოეული არასრულწლოვანის მიმართ სოციალური სამართლიანობის ყოველმხრივი უზრუნველყოფის ფარგლებში, იმავდროულად, მან ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდობის დაცვისა და საზოგადოებაში მშვიდობიანი წესის შენარჩუნების უზრუნველყოფას.

1.5. წინამდებარე წესები განხორციელდება თითოეულ წევრ-სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების კონტექსტში.

1.6. აუცილებელია არასრულწლოვანთა მიმართ სამართალის ადმინისტრაციის სამსახურების სისტემატურად განვითარება და კოორდინირება ამ სამსახურების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი შესაბამის დონეზე შენარჩუნების მიზნით, მათი მეთოდების, მიდგომებისა და დამოკიდებულების ჩათვლით.

ეს ძირითადი მიზნები ეხება ყოვლისმომცველ სოციალურ პოლიტიკას მთლიანობაში და მიმართულია არასრულწლოვანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მაქსიმალური ცელშეწყობისაკენ, რაც მინიმუმამდე დაიყვანს მართლმსაჯულების სისტემის მხრიდან არასრულწლოვანთა საქმეებში ჩარევის აუცილებლობას.

1.1.-1.3. წესებში ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც უნდა შეასრულოს კონსტრუქციულმა სოციალურმა პოლიტიკამ არასრულწლოვანთა მიმართ. კერძოდ არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულისა და სამართალდარღვევების აცილებაში.

## **2. წესების გამოყენების სფერო და გამოყენებული ცნებები**

2.1. წინამდებარე მინიმალური სტანდარტული წესები გამოიყენება არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ მიუკერძოებლად, რასის, კანის ფერის, ენის, აღმსარებლობის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის მიუხედავად.

2.2. მოცემული წესების მიზნებისათვის წევრი-სახელმწიფოები იყენებენ შემდეგ ცნებებს იმგვარად, რომ ისინი პასუხობდნენ შესაბამის სამართლებრივ სისტემებსა და კონცეფციებს:

ა) არასრულწლოვანია ბავშვი ან ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც არსებული სამართლებრივი სისტემის ჩარჩოებში შეიძლება სამართალდარღვევისათვის მიეცეს პასუხისგებაში იმ ფორმით, რომელიც განსხვავდება სრულწლოვანისადმი გამოყენებული პასუხისგების ფორმისაგან;

ბ) სამართალდარღვევაა ნებისმიერი გადაცდომა (ქმედება ან უმოქმედობა), რომელიც კანონით ექვემდებარება დასჯას არსებული სამართლებრივი სისტემის ჩარჩოებში.

გ) არასრულწლოვანი სამართალდამრღვევია ბავშვი ან ახალგაზრდა, რომელიც ეჭვიტანილია დანაშაულის ჩადენაში, ან, რომელმაც, როგორც დადასტურებულია, ჩაიდინა დანაშაული.

2.3. ყოველი ეროვნული იურისიდქციის ჩარჩოებში უნდა მიღებულ იქნას ძალისხმევა კანონების, წესებისა და დებულებების კომპლექსის მისაღებად, რომელიც უშუალოდ ეხება არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს და დაწესებულებებსა და ორგანოებს, რომელთა ფუნქციაშიც შედის არასრულწლოვანთა მიმართ სამართლის ადმინისტრაციის გატარება და რომელნიც მოწოდებულნი არიან:

ა) დააკმაყოფილონ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა სხვადასხვა მოთხოვნები, მათი ძირითადი უფლებების დაცვით;

ბ) დააკმაყოფილონ საზოგადოების მოთხოვნები;

გ) მოცემული წესები ცხოვრებაში გაატარონ განუხრელად და მიუკერძოებლად.

### **3. წესების გამოყენების სფეროს გაფართოება**

3.1. წესების შესაბამისი დებულებები გამოიყენება არა მარტო სამართალდამრღვევ არასრულწლოვანთა მიმართ, არამედ იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომელნიც შეიძლება პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი ნებისმიერი კონკრეტული ქმედებისათვის, რომელიც არ იწვევს სისხლის ან ადმინისტრაციულ სამართლის პასუხისგებას მათი სრულწლოვანთა მიერ ჩადენის შემთხვევაში.

3.2. აუცილებელია ძალისხმევის მიმართვა იმისკენ, რათა წესებში მოცემული პრინციპების ქმედებანი გავრცელებულ იქნას ყველა იმ არასრულწლოვანის მიმართ, რომელთა მიმართაც გამოყენებულია სოციალური უზრუნველყოფისა და მეურვეობის ზომები.

3.3. აგრეთვე ძალისხმევა უნდა იქნას მიმართული იმისკენ, რათა შეძლებისდაგვარად მოხდეს წესებში მოცემული პრინციპების გავრცელება ახალგაზრდა სრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ.

### **4. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი.**

4.1 სამართლებრივ სისტემებში, რომლებშიც მიღებულია არასრულწლოვანთათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ცნება, ქვედა ზღვარი ამ ასაკისა არ უნდა იქნეს დადგენილი ძალზედ ადრეულ ასაკზე, ემოციური, სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ასპექტებიდან გამომდინარე.

### **5. არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების მიზნები.**

მართლმსაჯულების სისტემა არასრულწლოვანთა მიმართ უნდა იქნას მიმართული პირველ რიგში არასრულწლოვანის კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ და იმის უზრუნველყოფისაკენ, რათა არასრულწლოვან სამართალდამრღვევზე ზემოქმედების ზომები იყოს ყოველთვის თანაზომადი როგორც სამართალდამრღვევის პიროვნების, ასევე სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებებთან.

### **6. დისკრეციულ უფლებამოსილებათა მოცულობა.**

6.1. არასრულწლოვანთა განსხვავებული განსაკუთრებული მოთხოვნილებების გათვალისწინებით, აგრეთვე არსებული ზომების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, აუცილებელია დისკრეციული უფლებამოსილების შესაბამისი მოცულობის გათვალისწინება არასრულწლოვანთა მიმართ სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის გამოძიების, საქმის სასამართლოში განხილვის, სასამართლო გადაწყვეტილების მიღების და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე კონტროლის განხორციელებისას.

6.2. ამასთანავე, ძალისხმევა მიმართულ უნდა იქნას დისკრეციული უფლებამოსილების ყველა ეტაპსა და დონეზე განხორციელების შესაბამისი ანგარიშების უზრუნველყოფისაკენ.

6.3. დისკრეციულ უფლებამოსილებათა განმხორციელებელ პირებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია ან მომზადება მათი კეთილგონივრულად გამოყენებისათვის თავისი ფუნქციებისა და უფლებამოსილების შესაბამისად.

### **7. არასრულწლოვანთა უფლებები**

სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე გარანტირებული უნდა იყოს ძირითადი პროცესუალური გარანტიები, ისეთი, როგორცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია, უფლება, გაეცნოს წაყენებულ ბრალდებას, უფლება, არ მისცეს ჩვენება, უფლება, იყოლიოს ადვოკატი, უფლება მშობელთა ან მეურვეთა დასწრებაზე, მოწმესთან პირდაპირი დაპირისპირებისა და ჯვარედინი დაკითხვის უფლება და ზემდგომ ინსტანციებში აპელაციის უფლება.

### **8. კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა**

8.1. ყველა ეტაპზე პატივი უნდა ეცეს არასრულწლოვანის უფლებას კონფიდენციალურობაზე, რათა თავიდან აცილებულ იქნას ზიანის მიყენება უსარგებლო გახმაურებისაგან ან რეპუტაციისათვის ზიანის მიყენებისაგან.

8.2. პრინციპულად არ უნდა იქნას გამოქვეყნებული არავითარი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს არასრულწლოვან სამართალდარღვევის პიროვნებაზე.

### **9. დაცვითი დათქმა**

არაფერი მოცემულ წესებში არ უნდა იქნას გაგებული როგორც გამომრიცხავი გაერო-ს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებისა, ადამიანის უფლებათა სხვა დოკუმენტებისა და სტანდარტების, რომელნიც მიღებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ და ეხება ახალგაზრდა პირთა დაცვასა და მათზე ზრუნვას.

### ***მეორე ნაწილი. გამოძიება და სასამართლო განხილვა***

### **10. პირველადი კონტაქტი**

10.1. არასრულწლოვნის დაკავებისას მისი მშობლები ან მეურვე დაუყოვნებლივ უნდა იქნენ ინფორმირებული დაკავების შესახებ, ხოლო დაუყოვნებლივ ინფორმირების შეუძლებლობის შემთხვევაში, მშობლები და მეურვე ინფორმირებული უნდა იყონ მოგვიანებით მაქსიმალურად შეზღუდულ დროის განმავლობაში.

10.2. მოსამართლე ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი ან სხვა ორგანო დაუყოვნებლივ განიხილავს საკითხს არასრულწლოვნის განთავისუფლების შესახებ. 1

10.3. მართლწესრიგის განმახორციელებელ ორგანოებსა და არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა შორის კონტაქტი ხორციელდება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს არასრულწლოვნის სამართლებრივი სტატუსის პატივისცემა, ხელი შეეწყოს არასრულწლოვნის კეთილდღეობას და აცილებულ იქნას მისთვის ზიანის მიყენება, საქმის გარემოებების სათანადო გათვალისწინებით.

## **11. საქმის შეწყვეტა**

11.1. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეთა განხილვისას შეძლებისდაგვარად არ უნდა იქნას გამოყენებული 14.1. წესში მითითებული მთავრობის კომპეტენტური ორგანოს მიერ საქმის ოფიციალური განხილვა.

11.2. პოლიციას, პროკურატურას და სხვა ორგანოებს, რომელნიც აწარმოებენ არასრულწლოვანთა საქმეებს, უნდა მიეცეს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება თავისი შეხედულებისამებრ საქმის ოფიციალური მოსმენის გარეშე, შესაბამის სამართლებრივ სისტემაში ამ მიზნისათვის დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, აგრეთვე წინამდებარე წესებში მოცემული პრინციპების შესაბამისად.

11.3. საქმის ნებისმიერი შეწყვეტა, დაკავშირებული საქმის შესაბამის საზოგადოებრივ ან სხვა სამსახურში გადაცემასთან, მოითხოვს არასრულწლოვნის ან მისი მშობლის ან მეურვის თანხმობას, იმ პირობით, რომ ასეთი გადაწყვეტილება გადაცემის შესახებ ექვემდებარება გადახედვას ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ განცხადების საფუძველზე.

11.4. არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას დისკრეციულობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია საზოგადოების ჩარჩოში ისეთი პროგრამების გათვალისწინება, როგორც დროებითი ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის განხორციელება, დაზარალებულთა სასარგებლოდ რესტიტუცია და კომპენსაცია.

## **12. პოლიციის სპეციალიზაცია**

თავისი ფუნქციების საუკეთესოდ განხორციელების მიზნით პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც ხშირად ან განსაკუთრებულად არიან დაკავებულნი არასრულწლოვანთა საქმეებით ან რომლებიც ძირითადად დაკავებულნი არიან არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობის პროფილაქტიკით, უნდა გაიარონ სპეციალური ინსტრუქტაჟი და მომზადება. ამ მიზნით მსხვილ ქალაქებში უნდა შეიქმნას პოლიციის სპეციალური ქვეგანყოფილებანი.

## **13. სასამართლომდე თავისუფლების აღკვეთა**

13.1. წინასწარი პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ როგორც განსაკუთრებული ზომა და დროის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში.

13.2. წინასწარი პატიმრობა სასამართლომდე შეძლებისდაგვარად უნდა შეიცვალოს სხვა ალტერნატიული ზომებით, ისეთი, როგორც მუდმივი ზედამხედველობა, აქტიური აღმზრდელობითი სამუშაოები ანდა ოჯახში ან აღმზრდლობით დაწესებულებაში მოთავსება.

13.3. არასრულწლოვნები, რომელნიც მოთავსებულნი არიან წინასწარი პატიმრობის ადგილებში, სარგებლობენ გაერო-ს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებით გათვალისწინებული ყველა უფლებითა და გარანტიებით.

13.4. არასრულწლოვნები, რომელნიც მოთავსებულნი არიან წინასწარი პატიმრობის ადგილებში, უნდა მოათავსონ სრულწლოვანი პატიმრებისაგან განცალკევებით, აგრეთვე იმ დაწესებულების, სადაც იმყოფებიან სრულწლოვანი პატიმრები, სპეციალურ განყოფილებაში.

13.5. წინასწარი პატიმრობის მთელ პერიოდში არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოვლით, დაცვით და აუცილებელი ინდივიდუალური დახმარებით - სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ფიზიკური, აგრეთვე დახმარებით განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში, - რომლებიც მათ შეიძლება დასჭირდეთ მათი ასაკის, სქესისა და პიროვნების გათვალისწინებით.

### ***ნაწილი მესამე. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა და ზემოქმედების ზომების შერჩევა***

#### **14. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის კომპეტენტური ორგანო**

14.1. თუ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის საქმე არ იყო შეწყვეტილი (მე-11 წესის შესაბამისად), მის საქმეს განიხილავს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო (სასამართლო, ტრიბუნალი, საბჭო, კომისია და ა.შ.) სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს პრინციპების შესაბამისად.

14.2. სასამართლო განიხილავს უნდა პასუხობდეს არასრულწლოვნის ინტერესებს და განხორციელდეს გაგების ატმოსფეროში, რაც საშუალებას მისცემს არასრულწლოვანს მიიღოს მასში მონაწილეობა და თავისუფლად გამოთქვას თავისი თვალსზიარისი.

#### **15. ადვოკატი, მშობლები და მეურვეები**

15.1 სასამართლო განხილვის მსვლელობისას არასრულწლოვანს აქვს უფლება წარმოდგენილ იქნას ადვოკატით ან მიმართოს უფასო სამართლებრივი დახმარებისათვის, თუ ასეთი დახმარების გაწევა გათვალისწინებულია ამ ქვეყნის კანონმდებლობით.

15.2. მშობლებს ან მეურვეს აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა სასამართლო განხილვაში, და ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია მოითხოვოს მათი დასწრება არასრულწლოვნის ინტერესების გათვალისწინებით. ამასთანავე ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია უარი უთხრას მათ ასეთ მონაწილეობაზე, თუ არის საფუძველი ვარაუდისა, რომ ეს აუცილებელია ასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე.

#### **16. მოხსენებები (ანგარიშები) სოციალური გამოკვლევების შედეგების შესახებ**

16.1. ყველა შემთხვევაში, ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევების გამოკვლით, ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელიც წინ უსწრებს განაჩენის გამოტანას, აუცილებელია გულდასმით იქნას შესწავლილი გარემო და პირობები, რომლებშიც ცხოვრობს არასრულწლოვანი, ან გარემოებები, რომლებშიც იყო ჩადენილი სამართალდარღვევა, იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს გონიერ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას.

#### **17. სახელმძღვანელო პრინციპები სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას და ზემოქმედების ზომების შერჩევა**

17.1. ზემოქმედების ზომის შერჩევას კომპეტენტური ორგანო უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი პრინციპებით:



ა) ზემოქმედების ზომები ყოველთვის უნდა იყოს თანაზომადი არა მარტო სამართალდარღვევის გარემოებებსა და სიმძიმესთან, არამედ არასრულწლოვნის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებთან, აგრეთვე საზოგადოების მოთხოვნილებებთან.

ბ) გადაწყვეტილება პირადი თავისუფლების შეზღუდვის შესახებ უნდა მიღებულ იქნეს მხოლოდ საკითხის გულმოდგინედ განხილვის შემდეგ და შეზღუდვები შეძლებისდაგვარად უნდა იქნას დაყვანილი მინიმუმამდე.

გ) არასრულწლოვან სამართალდამრღვევს არ უნდა წაერთვას თავისუფლება, თუ ის არ არის ცნობილი დამნაშავედ სერიოზული ქმედების ჩადენაში სხვა პირის მიმართ ძალადობის გამოყენებით ან სხვა სერიოზულ სამართალდარღვევების არაერთჯერად ჩადენაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ზომა.

დ) არასრულწლოვნის საქმის განხილვისას საკითხი მისი კეთილდღეობის შესახებ უნდა მიჩნეულ იქნას გამაძმვეტ ფაქტორად.

17.2. არანაირი სამართალდარღვევისათვის არასრულწლოვნის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სიკვდილით დასჯა.

17.3. არასრულწლოვნის მიერ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ფიზიკური დასჯა.

17.4. ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება ნებისმიერ მომენტში შეწყვიტოს სასამართლო განხილვა.

## **18. ზემოქმედების სხვადასხვა ზომები**

18.1 მეტი მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით და გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოთავსებისაგან შეძლებისდაგვარად თავიდან ასაცილებლად ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს უნდა გააჩნდეს საქმის გადაწყვეტისას ზემოქმედების ზომების ფართო კომპლექსი. ასეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ერთმანეთთან შეთავსებით, განეკუთვნება:

ა) დადგენილება მეურვეობის, ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის შესახებ;

ბ) პრობაცია;

გ) დადგენილება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესახებ;

დ) ფინანსური დასჯა, კომპენსაცია და რესტიტუცია;

ვ) დადგენილება შუალედური და სხვა ზომების შესახებ;

ზ) დადგენილება ჯგუფურ ფსიქოთერაპიასა და სხვა მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ;

თ) დადგენილება, რომელიც ეხება აღსაზრდელად გადაცემას, საცხოვრებელ ადგილსა ან სხვა აღსაზრდელ ზომებს; ი) სხვა შესაბამისი ზომები.

18.2. არც ერთი არასრულწლოვანი არ უნდა იქნეს მოწყვეტილი მშობელთა მზრუნველობას, ნაწილობრივ ან მთლიანად, თუ ეს არ არის გამართლებული მისი საქმის გარემოებით.

19. მინიმალური გამოყენება იმ ზომებისა, რომლებიც ითვალისწინებს გამასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებას.

19.1. არასრულწლოვნის მოთავსება რომელიმე გამასწორებელ დაწესებულებაში ყოველთვის უნდა იყოს უკიდურესი ზომა, რომელიც გამოიყენება მინიმალურად აუცილებელი დროის განმავლობაში.

## **20. უსარგებლო დაყოვნების აცილება**

20.1. არასრულწლოვნის ნებისმიერი საქმე უნდა განიხილებოდეს სწრაფად, ნებისმიერი უსარგებლო დაყოვნების დაუშვებლად.

## **21. ოქმები.**

21.1. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების მასალები უნდა ინახებოდეს მკაცრად კონფიდენციალურად და არ უნდა გადაეცეს მესამე პირებს. მასალების ხელმისაწვდომობა უნდა შემოიფარგლოს იმ პირთა წრით, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავებულნი მოცემული საქმის განხილვით, ან სხვა პირთა წრით, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება.

21.2. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების მასალები არ უნდა იქნას გამოყენებული ამ საქმესთან დაკავშირებულ სრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების შემდგომ განხილვისას.

## **22. პროფესიონალიზმისა და მომზადების აუცილებლობა**

22.1. არასრულწლოვანთა საქმეებით დაკავებული მთელი კონტინგენტის აუცილებელი პროფესიონალური კომპეტენტურობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელია პროფესიული მომზადების, მუშაობის პროცესში სწავლების, გადამზადების კურსებისა და სწავლების სხვა შესაბამისი სახეების გამოყენება.

22.2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ორგანოების პერსონალი უნდა შერჩეულ იქნას არასრულწლოვანთა სხვადასხვა კატეგორიების გათვალისწინებით, რომლებიც შედიან მართლმსაჯულების სისტემასთან კონტაქტში. ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული იმისკენ, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ქალთა და ეროვნულ უმცირესობათა სამართლიანი წარმომადგენლობა არასრულწლოვანთა საქმეების მართლმსაჯულების ორგანოებში.

**ნაწილი მეოთხე. გამასწორებელ დაწესებულებათა ფარგლებს გარეთ დარჩენილ  
არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მოპყრობა**

## **23. გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულება**

23.1. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი დებულებანი 14.1. წესში მითითებული კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ თვით ამ ორგანოს მიერ ან რომელიმე სხვა ორგანოს მიერ, გარემოების შესაბამისად.

23.2. ასეთი დებულებანი უნდა შეიცავდნენ კომპეტენტური ორგანოს უფლებას პერიოდულად, აუცილებლობისდამიხედვით, შეიტანოს ცვლილებები დადგენილებაში იმ პირობით, რომ ამ ცვლილებების ხასიათი განისაზღვრება ამ წესებში მოცემულ პრინციპებთან შესაბამისად.

#### **24. აუცილებელი დახმარების მიწოდება**

24.1. აუცილებელია ძალისხმევის მიმართვა არასრულწლოვანთათვის სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე აუცილებელი დახმარების მიწოდების მიზნით, ისეთის როგორც საცხოვრებელით უზრუნველყოფა, განათლების ან პროფესიული მომზადების მიღება, შრომითი მოწყობა ან სხვა ნებისმიერი დახმარება, რომელიც შეიძლება სასარგებლო და პრაქტიკული გამოდგეს ხელახალი აღზრდის პროცესისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

#### **25. მოხალისეებისა და სხვა საზოგადოებრივი სამსახურების მობილიზაცია.**

25.1. აუცილებელია მოხალისეების, მოხალისე ორგანიზაციების, ადგილობრივი დაწესებულებებისა და სხვა საზოგადოებრივი სამსახურების მოზიდვა, რათა მათ შეიტანონ თავისი ქმედითი წვლილი არასრულწლოვანთა ხელახალ აღზრდაში საზოგადოების ფარგლებში, და რამდენადაც ეს შესაძლებელია, ოჯახის ფარგლებში.

#### **ნაწილი მეხუთე. გამასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებულ სამართალდამრღვევებთან მოპყრობა**

#### **26. გამასწორებელ დაწესებულებებში სამართალდამრღვევებთან მოპყრობის მიზნები.**

26.1. გამასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებულ არასრულწლოვნებთან აღმზრდელობითი სამუშაოების მიზანია მეურვეობის, დაცვის, განათლებისა და პროფესიული მომზადების უზრუნველყოფა, მათთვის საზოგადოებაში სოციალურად სასარგებლო და ნაყოფიერი როლის შესრულებისათვის დახმარების გაწევის მიზნით.

26.2. გამასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებული არასრულწლოვნები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მოვლით, დაცვით და ყველა აუცილებელი დახმარებით - სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ფიზიკური, აგრეთვე განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში, - რომლებიც მათ შეიძლება დასჭირდეთ მათი ასაკის, სქესის და პიროვნების გათვალისწინებით, აგრეთვე მათი სრულყოფილი განვითარების ინტერესების გათვალისწინებით.

26.3. არასრულწლოვნები გამასწორებელ დაწესებულებებში უნდა მოთავსდნენ სრულწლოვანთაგან გაცალკევებით, აგრეთვე სპეციალურ გამასწორებელ დაწესებულებაში ან გამასწორებელი დაწესებულების, რომელშიც აგრეთვე მოთავსებულები არიან სრულწლოვნები, სპეციალურ განყოფილებაში.

26.4. ახალგაზრდა სამართალდამრღვევ ქალებს, რომელნიც მოთავსებულნი არიან გამასწორებელ დაწესებულებაში, უნდა მიეცეს განსაკუთრებული ყურადღება მათი პირადი მოთხოვნილებებისა და პრობლემების გათვალისწინებით. ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყონ ისეთივე მოვლით, დაცვით, დახმარებით, მოპყრობით და პროფესიული მომზადებით, როგორც ახალგაზრდა სამართალდამრღვევი ვაჟები. აუცილებელია მათთან სამართლიანი მოპყრობის უზრუნველყოფა.

26.5. გამასწორებელ დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვანთა კეთილდღეობის ინტერესების გათვალისწინებით, მათ მშობლებს და მეურვეებს უნდა მიეცეთ მათი ნახვის უფლება.

26.6. აუცილებელია უწყებათაშორისი თანამშრომლობის წახალისება გამასწორებელ დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვანთა შესაბამისი აკადემიური, ან შემდგომისდაგვარად, პროფესიული მომზადების უზრუნველყოფის მიზნით, რათა გამასწორებელი დაწესებულებიდან გასვლის შემდგომ მათ ჰქონდეთ სრულფასოვანი განათლება.

## **27. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენება**

27.1. პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებისა და შესაბამისი რეკომენდაციები გამოიყენება მათი გამოყენების მიზანშეწონილებისდამიხადვით გამასწორებელ დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ, აგრეთვე იმ სამართალდამრღვევთა მიმართ, რომელნიც იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში.

27.2. აუცილებელია ძალისხმევის მიმართვა პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში მოცემული შესაბამისი პრინციპების რაც შეიძლება სრული გამოყენებისათვის არასრულწლოვანთა სხვადასხვა მოთხოვნილებების უზრუნველყოფის მიზნით, მათი ასაკის, სქესის და პიროვნების გათვალისწინებით.

## **28. ადრეულ ეტაპზე პირობითი გათავისუფლების რეგულარული გამოყენება.**

28.1. გამასწორებელი დაწესებულებიდან რეგულარული გათავისუფლება გამოიყენება შესაბამისი ორგანოების მიერ შემდგომისდაგვარად ფართო მასშტაბითა და შესაძლებისდაგვარად ადრეულ ვადებში. 28.2. გამასწორებელ დაწესებულებიდან პირობითად გათავისუფლებული არასრულწლოვნები იღებენ დახმარებას და იმყოფებიან შესაბამისი ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ და უნდა მიიღონ მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან.

## **29. მუშაობის შუალედური ფორმები**

უნდა იქნას მიმართული ძალისხმევა მუშაობის შუალედური ფორმების გამოყენების მიზნით, ისეთის, როგორიცაა ნაკლებად მკაცრი რეჟიმის გამასწორებელი დაწესებულებები, აღმზრდელობითი სახლები, დღის მომზადების ცენტრები და სხვა ანალოგიური შესაბამისი

ფორმები, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ არასრულწლოვნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მართებულ ინტეგრაციას.

### **მეექვსე ნაწილი. პოლიტიკის გამოკვლევები, დაგეგმარება, შემუშავება და შეფასება**

30. გამოკვლევები, როგორც პოლიტიკის დაგეგმარების, შემუშავებისა და შეფასების საფუძველი

30.1. ძალისხმევა უნდა იქნას მიმართული პოლიტიკის ეფექტური დაგეგმარებისა და შემუშავებისათვის აუცილებელი კვლევითი სამუშაოების ორგანიზაციისა და წახალისებისაკენ.

30.2. ძალისხმევა უნდა იქნას მიმართული არასრულწლოვანთა სამართალდარღვევებისა და დამნაშავეობის პრობლემებისა და მიზეზების, აგრეთვე თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა სხვადასხვა კონკრეტულ მოთხოვნილებათა პერიოდულ გამოკვლევასა და შეფასებისათვის.

30.3. ძალისხმევა უნდა იქნას მიმართული არასრულწლოვანთა მიმართ სამართალწარმოების სისტემის ჩარჩოებში რეგულარული შეფასებითი გამოკვლევების მექანიზმის შექმნისათვის და შესაბამისი მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისათვის მართლმსაჯულების წარმოების სისტემის სათანადო შეფასებისა და შემდგომი სრულყოფისა და რეფორმისათვის.

30.4. აუცილებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულებისას მომსახურეობის გაწევის სისტემატური დაგეგმვა და განხორციელება ეროვნული განვითარების ღონისძიებების განუყოფელი ნაწილის სახით.